პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 დეკემბერი, კვირა, 1988 წ.
№ 236 (9903) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოძმეთა დასახმარებლად

მიწისძვრისაგან დაზარალებული მოძმე სომხეთის მოსახლეობის დასახმარებლად ამ დღეებში თბილისიდან გამგზავრებულ სტუდენტთა რაზმებს შორის საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებიც არიან. მსურველი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ ამ სასწავლებლიდან მხოლოდ ერთ 30 კაციან ჯგუფს ითხოვდნენ, დანარჩენები კი რეზერვში დარჩნენ და თუ საჭირო გახდა რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მეგობრებს შეცვლიან. სპორტსმენთა რაზმი ლენინაკანში მიემგზავრებოდა, მაგრამ სტეფანავანში, სადაც მაშველი რაზმების გამანაწილებელი ოპერატიული შტაბი მუშაობს, სტუდენტებს მისამართი შეუცვალეს — სპიტაკში გგზავნეს, იქ უფრო ესაჭიროებოდათ ამ ჯგუფის დახმარება.

გუშინ სპიტაკიდან პირველი ცნობა მოვიდა, რომელი სტუდენტები თავდაუზოგავად მუშაობენ, სამწახნაგოდ ნანგრევებში მათ მიერ მაკვლევული ათობით ადამიანიდან, რომელთა შორის მაშველებიც არიან, ცოცხალი აღარავინ იყო.

დაზარალებულთა დასახმარებლად მზად არიან ფიზკულტურის ინსტიტუტის გოგონებიც. მათ მოხალისეთა რაზმი შეადგინეს და საჭიროებისთანავე სანიტრებად და მომვლელებად იმუშავებენ.



გუშინწინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში გამართულ კრებაზე შემუშავდა მიწისძვრისაგან დაზარალებული მოძმე სომხეთის მოსახლეობისადმი დახმარების კონკრეტული გეგმა. იქვე გამოითქვა სურვილი, რომ თვით გამომცემლობაში გაეხსნათ საგანგებო პუნქტი დონორებისათვის. და აი, ეს პუნქტი გუშინ დილიდანვე შეუდგა მუშაობას. მათ შორის, ვინც უყოყმანოდ მისცა სისხლი არიან სტამბის სხვადასხვა პროფესიის მუშები, გამომცემლობისა და რედაქციების თანამშრომლები. ჩვენი კორესპონდენტის ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

კაცი კაცით ცხოვრობს

განვლილი წლები, მთელი ცხოვრება გურგენ სევოიანს ახლა მხოლოდ ბუნდოვნად აგონდება. 47 წლის კაცმა, სამი შვილის მამამ იმდენი რამ გამოსცადა ბოლო ორი დღის მანძილზე მთელს თაობებს ეყოფოდა საშინელ სიზმრად. დიახ, ყველაფერი ის, რაც 7 დეკემბერს ლენინაკანში მოხდა საშინელ სიზმარს უფრო ჰგავდა. ადამიანთა მწუხარება მთელი ერის, ქვეყნის, სამყაროს მწუხარებას შეუერთდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრაგიკული ბედის ადამიანებს ძალას და სტიმულს სწორედ საყოველთაო ერთიანობის გრძნობა აძლევს.

კაცი არასდროს რჩება მარტო ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამსაც კი. მაგრამ ამას იგი გრძნობს მერე, როცა გაივლის პირველი შთაბეჭდილება და გონებას მომხდარი ამბის ხელახლა განცდის, ხელახალი ანალიზის საშუალება ეძლევა. მაშინ კი, ტრაგიკული 7 დეკემბრის პირველ წუთებში ადამიანები მხოლოდ ახლობლების ბედზე ფიქრობდნენ.

გურგენ სევოიანი არ არის სუსტი კაცი. ახალგაზრდობაში, როცა თბილისში ცხოვრობდა კლასიკური ჭიდაობით იყო გატაცებული და სპორტის ოსტატიც კი გახდა. გურგენს, საქართველოს 1961 წლის ჩემპიონს კეთილ მოგონებად დარჩა მისი მაშინდელი მწვრთნელის ნერსეს აკოფოვის პიროვნება, ახსოვს როგორ ვარჯიშობდა დათო დავითაიასთან, რომან რურუასთან, ომარ ეგაძესთან ერთად. 1968 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, ორ წელს ყაზახეთში იმოღვაწა ახალგაზრდა სპეციალისტმა, მერე კი ლენინაკანში გადავიდა საცხოვრებლად, ოღონდ სპეციალობა შეიცვალა და ძიუდო-სამბოს ბავშვთა სპეციალიზებულ სპორტსკოლაში სასწავლო ნაწილი ჩაიბარა.

ცხოვრებაში სიხარული ბევრი ჰქონდა. პირველი დიდი სიხარული იმ დღეს განიცადა, როცა ოჯახს მოეკიდა (თბილისელი ქალი შეირთო ცოლად). მერე სამი ქალიშვილი — რუზანა, სტელა და ვართუი შეეძინა. ბიძასთან საცხოვრებლად ლენინაკანში ძმისშვილი სერგეი ჩამოვიდა. ახალგაზრდა უმაწვილსაც სპორტსმენის ჯილაგი დაჰყვა. კალათბურთს თამაშობდა ლევან ინწ-

იხ. მე-4 გვ.

გურგენ (მარჯვნივ) და სერგეი სევოიანები „ლელოს“ რედაქციაში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ პრიზზე

ვიდრე გონგს შეემოჰკრავენ

ჰაგუა მოკრივეთა საერთაშორისო ასპარეზობას, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ პრიზზე იმართება, არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ პოპულარობით იგი აშკარად ტოლს არ უდებს უფრო ძველ, ტრადიციულ ტურნირებს და ამის მიზეზი ალბათ, ის არის, რომ თბილისელმა მაყურებელმა იცის კრივის ფასი, რაც რინგზე მარტო სხვა ქალაქებისა თუ ქვეყნის სპორტსმენთა ოსტატობის ხილვით არ მოსულა.

აქ აღიზარდნენ და დღესაც ქვეყნის წამყვან მოკრივეთა რიგებს ამშვენებენ ტყავის ხელთათმნის მთელი თაობები. თვით ამ ტურნირმაკი, რომელიც მეშვიდედ ჩატარდება, დიდ რინგზე გზა დაულოცა წინა წლების მის გამარჯვებულებს, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებს ალბერტ კაზანჯიანს, ნიკოლოზ სეთურს და სხვებს.

წლევანდელი ტურნირისადმი, რომელშიც 1971-72 წლებში დაბადებულნი გამოვლენ, გაზრდილი ინტერესი იმან განაპირობა, რომ მერმისს ჩვენი ქვეყანა სწორედ ამ ასაკის ჭაბუკთა მსოფლიო პირველობას უმასპინძლებს და ყველას სურს „საქმეში“ გაიცნოს მომავალი მეტოქე.

სტუმართმოყვარე თბილისი საგანგებოდ მოემზადა ასპარეზობა რომ უნაკლო გამოდგეს. ტურნირის ორგანიზატორებს ამ დღეებში უამრავი საზრუნავი ჰქონდათ. მათ შეხვდებოდით გამომცემლობების დერეფნებსა და სტამბაში, სუვენირების სხვადასხვა საფირმო მაღაზიებსა და სარეკლამო ორგანიზაციებში, მხატვართა სახელოსნოებში, სპორტულ ფაბრიკებსა და საშეფო ორგანიზაციებში. ფორმდებოდა სხვადასხვა ხელშეკრულებაშეკვეთები, ირჩეოდა რეკლამები, და სარეკლამო ფარები, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე უკვე დგას.

კრივის ადგილობრივი მოყვარულები და ჩვენი დედაქალაქის სტუმრები 13-16 დეკემბერს კიროვის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლის რინგზე იხილავენ ბულგარეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ვენესუელის, ჩეხოსლოვაკიის, პერუს, ნორვეგიის, შვეიცის, ფინეთის, სსრ კავშირის ნაკრების, „დინამოს“, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, „შრომითი რეზერვებისა“ და საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლებს.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოტატის წოდება მიანიჭა:

თავისუფალ ჭიდაობაში — მამუკა რაზმაძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

საგზატკეცილო ველოსრბოლაში — ვასილი დავიდენკოს (თბილისი, პროფკავშირები).

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა:

ველოსპორტში — მიხეილ ყვითელაშვილს (თბილისი, პროფკავშირები).



დღეს

თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლე (კიროვის პარკი) უმასპინძლებს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების შეჯიბრებას. ერთმანეთს ხვდებიან: კაპრეთი (გურჯაანი) — თემქა (თბილისი); ზემო ქედი (წითელი წყაროს) — ბათუმი; გლდანის უბანი (თბილისი) — ჟუთაისი.

შეჯიბრება დაიწყება 15 საათზე.

პირველად ფინალში

მელბურნი. ჩოგბურთის ფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა გფრ-ის გუნდი — 2:1 და ამ პრესტიჟული ტურნირის ისტორიაში პირველად, ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ლარისა სავჩენკომ სასტარტო შეხვედრა მოუგო სილვია ჰანიკის — 5:7, 7:6, 6:3, ნატალია ზვერევა დამარცხდა კლაუდია კოდე-კილშთან — 5:7, 1:6. ბრძოლის ბედი გადაწყვიტა წყვილთა შეხვედრამ, რომელმაც წარმატება ჩვენს ჩოგბურთელებს მოუტანა — 1:6, 6:1, 7:5.

მეორე ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიამ ავსტრალიის გუნდი დაამარცხა — 3:0.

ფინალი, რომელშიც ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები შეხვდებიან გაიმართება დღეს, 11 დეკემბერს.

„ქალგირისი“ აბროვეგს ქულებს

რიგა. გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი ადგილობრივ ვეფ-სა და კაუნასის „ქალგირისს“ შორის. გამარჯვება ამჯერადაც „ქალგირისს“ ხვდა 89:82 (35:41).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 დეკემბრისთვის

„დინ.“ (მ.)	12	7	5	1187-1139	19
ასკ (ა-ა)	12	7	5	1160-1137	19
„სტ.“ (ვ.)	12	5	7	1038-1027	17
„სპ.“ (ლდ.)	12	5	7	967-1044	17
ცსკა	8	8	0	854-663	16
„უალ.“ (კ.)	8	7	1	800-731	15
„სტ.“ (კიევი)	8	7	1	754-687	15
რტი (შინ.)	10	5	5	848-843	15
„კალ.“ (ტ.)	10	4	6	824-868	14
ვეფ (რიგა)	12	2	10	1033-1216	14
„შახ.“ (დ.)	10	3	7	768-849	13
„დინ.“ (თბ.)	10	2	8	856-928	12

საქართველოს წყალში მხტომელებმა წლევანდელი სპორტული სეზონი თბილისსა და სარატოვში გამართული რესპუბლიკური და საკავშირო პირველობებით დაამთავრეს. სარატოვში თბილისელმა დიანა მჭედლიძემ 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეხამე ადგილი დაიკავა.

სურათზე: დიანა მჭედლიძე.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

იხ. მე-3 გვ.

IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები

„დაკარგული თაოსნობის“ სანაცვლოდ

ვლადიმერ აფციაურის დიდმა გამარჯვებამ ბევრ ჩვენს სპორტის მოყვარულს თითქოს ხელახლა გაახსენა, რომ არსებობს სპორტის მშვენიერი, რომანტიკული სახეობა — ფარიკაობა, სადაც ასე მოგვენატრა წარმატება. მაგრამ ნათქვამია, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო... ახლახან თბილისში დამთავრდა საქართველოს IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მუშკეტერთა შეჯიბრება, სადაც ჩვენი ფარიკაობის მომავალი გამოდიოდა. ამ ახპარეზობის ირგვლივ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ფარიკაობაში ბოდერძი მახარაძეს.

⊙ თუ იყო რაიმე სიახლე ამ შეჯიბრებაზე, რაც მას სხვა რესპუბლიკური ტურნირებისაგან განასხვავებდა?

— სიახლე ის იყო, რომ ღია პირველობა ჩავატარეთ — თბილისში მოვიწვიეთ ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გუნდები. რა დასამალია, საქართველოს პირველობებზე, სანამ ფინალი არ დაიწყება, ბრძოლა ბრძოლას არცა ჰგავს, იმდენად განსხვავებულია სპორტსმენთა მომზადებ-



დიმიტრი გოგლიჩიძე

ბის დონე. სტუმრების მონაწილეობას კი ეს ხარვეზი უნდა შეევსო და გაეღვივებინა ინტერესი ტურნირისადმი. ასეც მოხდა, თუმცა თბილსში მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის მოფარიკავეები ჩამოვიდნენ, ოღონდ — ფაქტობრივად თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით.

⊙ ეს პირველი ცდა იყო ასეთი ტურნირის მოწყობისა?

— არა, შარშანაც გვინდოდა ღია პირველობის ჩატარება ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების წინ, მაგრამ მაშინ მოწვევაზე უარი გვითხრეს, ჩემი ვარაუდით, მიზეზი ის იყო, რომ ღირსეულ მეტოქედ არავინ გვთვლიდა, ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში ხომ მეთორმეტე ადგილზე დავრჩით. შარშან კი, მეორე თამაშებზე, ხუთი საფეხურით წინ გადავინაცვლეთ და ყველა ზემოთნახსენებ გუნდს გავუსწარით. ცხადია, ახლა უკვე ყველა ყურადღებით გვაკვირდება. ბალტიისპირელებმაც თანხმობა გამოგზავნეს, მაგრამ ვერ ჩამოვიდნენ.

⊙ ერთ შეჯიბრებაზე ხუთი საფეხურით დაწინაურება ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ მინდა გკითხოთ: ეს წინსვლა ჩვენი ფარიკაობის საერთო პროგრესიდან გამომდინარეობს თუ მას, ასე ვთქვათ, ლოკალური ხასიათი აქვს, რაც მწვრთნელთა და სპორტსმენთა ერთი ჯგუფის მონდომებამ განაპირობა?

— ჯერ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია, რომ საერთო პროგრესზე ვილაპარაკოთ, მაგრამ, თუ ასე გავაგრძელეთ მუშაობა, ამაზეც ვიტყვით, ახლა ვმუშაობთ, ახალ გზებს ვეძებთ. თუ ამ ახალგაზრდულ თამაშებზე VI ადგილი მოვიპოვეთ, ეს უკვე დიდი წარმატება იქნება. არ დაგავიწყდეთ, რომ ტურნირში ბავშვები კი არა, ფაქტობრივად ჩამოყალიბებული, 20 წლის მოფარიკავეები გამოვლენ.

აუცილებლად მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მწვრთნელებზე. ნაყოფიერად მუშაობენ ნაკრებში ლუდვიგ ღაღანიძე, იგორ ვახროვი, გურამ ლორთქიფანიძე, რამაზ გიორგაძე... მოხარული ვარ, რომ დაშნით მოფარიკავეთა მომზადებაში ჩაება სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ კოსტავა. მისი მონდომება დიდ იმედებს გვინერგავს... აქ არ ვასახელებ იმ ათთხუთმეტ სპეციალისტს, რომლებიც გუნდის წვრთნაში მონაწილეობდნენ, მაგრამ მათი დახმარებაც ძალიან გვჭირდება.

⊙ დავუშვათ, რომ საქართველოს ნაკრებში ხაქმე რიგზეა. მაგრამ, ვფიქრობ, ეს პრობლემას ვერ გადაჭრის. გუნდი თითქმის მთლიანად თბილისელი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული, თუმცა, თუ არ ვცდები, რაიონებში მოფარიკავეთა დაახლოებით იმდენივე ჯგუფია, რამდენიც ჩვენს დედაქალაქში.

— ეს მართლაც მტკივნეული საკითხია. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების 40 კანდიდატში 29 თბილისელია, ხუთი — ქუთაისელი, ოთხი აჭარიდან არის, ერთი აფხაზეთიდან და ერთიც — ზესტაფონიდან.

პრობლემა ძველია და მისი ერთბაშად დაძლევა შეუძლებელი საქმეა. ჯერჯერობით გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ყოველ კვარტალში მოვაწყოთ მწვრთნელთა ატესტაცია. მალე მოვიწვევთ მწვრთნელთა საბჭოს ამ ამოცანის გადასაწყვეტად.

⊙ კი მაგრამ, რამდენად ეფექტური იქნება ატესტაცია? ვთქვათ, მწვრთნელი მოუმზადებელი გამოცხადდა პირველ შეკრებაზე, მეორეზე, მესამეზე... ხომ უნდა იყოს დაწესებული რაიმე ქმედითი ზომა ასეთი საქციელის აღსაკვეთად?

— ჩვენ იმდენი სპეციალისტი არ გვყავს, რომ ერთი ატესტაციის გამო მწვრთნელი გავიმეტოთ. ის, წლის ბოლოს კი დადგება უფრო მკაცრი საუბრის დრო, მაშინ ალბათ ზოგს მუშაობა აეკრძალება.

⊙ ორგანიზაციული ცვლილებების გარდა, კიდევ რა იყო აღსანიშნავი ახალგაზრდა მოფარიკავეთა შეჯიბრებაზე?

— თუ ახალ სახელებს გულისხმობთ, არაფერი, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს რაიონების გუნდების სისუსტეზე, თბილისელი სპორტსმენები ხომ მუდამ ჩვენს თვალწინ არიან. თუ ცალკეული სახეობები გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ურიგო გუნდები არ გვეყოლება ხმლითა და რაპირით ფარიკაობაში.

⊙ ხმლით მოფარიკავეთა გუნდი, ტრადიციულად, ჩვენი მთავარი იმედია, მაგრამ მათი წარმატება ნაწილობრივ სხვათა იგნორირების ხარჯზე ხომ არ ხდება? თუ რომელიმე ჩამორჩენილ სახეობაზე ხელს ჩაიქნევენ, ის მუდამ ჩამორჩენილი იქნება.

— ასე არ არის. აკი გითხარით, რაპირისტთა პერსპექტიული გუნდი გვყავს-მეთქი. თბილისელები ოლეგ ჭერნიშოვი, გიორგი კვარაცხელია, ვახტანგ ურუშაძე, გაგრელი ომარ ჯანიაშვილი პერსპექტიული ყმაწვილები არიან და, თუ მათთან კარგად ვიმუშავებთ, შეიძლება მედლის მოპოვების იმედიც ვიქონიოთ. ოღონდ თვითონ ბიჭებიც უნდა დაგვეხმარონ, განსაკუთრებით ურუშაძე, რომელსაც ზოგჯერ ვარჯიშში გულისყური ღალატობს.

გთხოვთ, ერთ გარემოებას მიაქციოთ ყურადღება: ჯანიაშვილი და ურუშაძე 1972 წელს არიან დაბადებულნი, IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე კი 1968 წელს დაბადებული სპორტსმენები დაიშვებიან. ოთხი წელი უზარმაზარი განსხვავებაა ამ დროს. უბრალოდ, ჩვენ სხვა საშუალება არა გვაქვს. იმასაც გეტყვით, რომ ფარიკაობის არც ერთ ნაკრებ გუნდში არა გვყავს 1968 წელს დაბადებული სპორტსმენი — ფაქტობრივად, მთელი თაობა „დაიკარგა“ ადრინდელ პერიოდში არასწორი მუშაობის გამო.

⊙ ხმლით ფარიკაობაში როგორღაა საქმე?

გია კვარაცხელია

— შემიძლია დაგისახელოთ გუნდის სამი უდავო კანდიდატი: არჩილ ლორთქიფანიძე, კახა მახარაძე და ზურაბ იოსებიძე. დარჩენლ ორ ვაკანსიაზე პრეტენზიას აცხადებენ ლაშა ყიფიანი, ბექა ჭელენტი, დავით ფეიქრიშვილი, ზაზა ქორიძე, პადრი ჯავოევი. მათაც, ისევე როგორც რაპირისტებმა, მეოთხე ახალგაზრდული თამაშების მედლებისთვის უნდა იბრძოლონ.

⊙ ჩვენი დაშნით მოფარიკავეები ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე მეთხუთმეტე ადგილზე დარჩნენ. მათი რეალური ძალა ესაა თუ გუნდის დაკომპლექტებისას შეცდომა მოხდა?

IV რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი დაშნით ფარიკაობაში თბილისის გუნდი. მარცხნიდან: ზურაბ იორდანიშვილი, ალექსანდრე ზახაშვილი, გიორგი თავართქილაძე, დიმიტრი გოგლიჩიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

— ალბათ შეცდომაც იყო. უბრალოდ, დაკომპლექტებისას მწვრთნელთა აზრი გაიყო და ჩვენ ერთ-ერთ ჯგუფს ვენდეთ. ჩვენს ახალგაზრდულ გუნდზე კი ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. იგორ ვახროვმა და გურამ კოსტავამ ახლა დაიწყეს მათი მომზადება და შედეგს უფრო მოგვიანებით დავინახავთ. იგივე მდგომარეობაა გოგოებშიც, რომელთა შორის გამოირჩევა ლიკა გიორგაძე. სხვათა შორის, სულ ამას ვჩივით, გოგოების გუნდი სუსტიაო, მაგრამ ისინი თავიანთ საქმეს მუდამ აკეთებენ და ფინალშიც ხვდებიან.

⊙ ნაკრების მომზადებაში არის რაიმე სიახლე?

— არის და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. კერძოდ, შემოვიღეთ მომზადების ახალი კალენდარი, რომელიც წელიწადში 2000-2500 შეხვედრას ითვალისწინებს თითოეული სპორტსმენისათვის საწვრთნელი ორთაბრძოლების ჩათვლით; აქამდე ჩვენ ფიქრსაც ვერ ვბედავდით იმაზე, რომ მოფარიკავეს ამდენი შეხვედრის ჩატარების საშუალება ექნებოდა, მაგრამ ასეთია დღევანდელი მოთხოვნები, რომელთა ეფექტიანობა პრაქტიკულად დადასტურდა მოწინავე „საფარიკაო“ ქვეყნებში. ამ მეთოდს ვგთავაზობს მეცნიერთა საკავშირო ჯგუფიც. ვივარჯიშებთ სამდღიანი ციკლით: პირველ ორ დღეს ტექნიკურ-ტაქტიკურ, მესამე დღეს — საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ესეც ახალი მეთოდია.

⊙ მაგრამ სურვილი ერთია და შესრულება — მეორე. ჩვენი მოფარიკავეები ფიზიკური მომზადების დონით არ გამოირჩევიან. შეძლებენ კი ასეთი დატვირთვის ატანას?

— ესეც გათვალისწინებულია. ჩვენ დავაწესეთ ნორმატივები საერთო-ფიზიკურ მომზადებაში და ის, ვინც მათ ვერ შეასრულებს, ნაკრებში არ ჩაირიცხება.

გოდერძი მახარაძესთან საუბრის შემდეგ ცალკე შეეხვედით **გურამ კოსტავას** და აზრი ვკითხეთ დაშნით მოფარიკავეთა გამოსვლის შესახებ.

— მე შეჯიბრების შედეგები არც მაინტერესებდა, მინდოდა შემერჩია ის სპორტსმენები, ვისაც ფარიკაობის ელემენტარული ტექნიკა მაინც ექნებოდა შესწავლილი. ასეთი 15-20 სპორტსმენი თუ იქნება. დანარჩენებთან კი მუშაობა არ ღირს, მაინც ვეღარაფერს გახდები.

იმ 15-20 მოფარიკავისაგან კი, ასე თუ ისე, შეიძლება გუნდი დაკომპლექტო. მათ შორის რამდენიმე ნიჭიერი ბიჭიც არის, მაგრამ წინასწარ ვერაფერს გეტყვით, დროა საჭირო. დანარჩენების მაგალითზე ის მინდა ვთქვა, რომ ალბათ რაიონებში ტყუილად ჰყავთ მოფარიკავეთა ჯგუფები. ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ამ ჯგუფს სპორტულ სკოლებს გადავცემდი, მაშინ ამდენი შრომა წყალში აღარ გადაიყრებოდა.

ესაუბრა
ბიორბი ჩოჩიშვილი.

ᲥᲕᲐᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ

რაპირა (ჭაბუკები). 1. გიორგი კვარაცხელია; 2. ოლეგ ჭერნიშოვი (ორივე — თბილისი); 3. ომარ ჯანიაშვილი (გაგრა).

გუნდური. 1. სომხეთი; 2. თბილისი; 3. აფხაზეთი.

გოგონები. 1. ლია გიორგაძე (თბილისი); 2. მარინა ბაბაევა; 3. ნაირა აირაპეტიანი (სომხეთი).

გუნდური. 1. თბილისი; 2. სომხეთი; 3. ქუთაისი.

ხმალი. 1. კახა მახარაძე; 2. დავით ფეიქრიშვილი; 3. არჩილ ლორთქიფანიძე (სამივე — თბილისი).

გუნდური. 1. თბილისი — I; 2. აზერბაიჯანი; 3. ქუთაისი;

დაშნა. 1. დიმიტრი გოგლიჩიძე; 2. ალექსანდრე ზახაშვილი; 3. ზურაბ იორდანიშვილი (სამივე — თბილისი).

გუნდური. 1. თბილისი; 2. სომხეთი; 3. ქუთაისი.

საერთო გუნდური. 1. თბილისი — 749 ქულა; 2. ქუთაისი — 361; 3. აჭარა — 358; 4. აფხაზეთი — 168; 5. ზესტაფონი —165; 6. წყალტუბო — 139; 7. ტყიბული — 82; 8. ჭიათურა — 74; 9. რუსთავი — 38.

სპეციალისტთა აზრით (და ამას შედეგების ცხრილიც გვიჩვენებს), ძალზე სამარცხვინოდ გამოვიდნენ რუსთავის, ტყიბულის, წყალტუბოს გუნდები.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სომეხმა სპორტსმენებმა, განსაკუთრებით რაპირით ფარიკაობაში, სადაც ერთი პირველი, 2 მეორე და ერთიც მესამე ადგილი მოიპოვეს.

ლიდერობს ოთხეული

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოეწყო დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა მიმდინარე მე-60 ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრება. I ტური: ნეჩაევი-მესტვირიშვილი — 0:1, II ტური: ლობჟანიძე-ვაშაკიძე — 1:0, მესტვირიშვილი-ცქიტიშვილი — 0:1, მიქაელიანი-ხახთაძე — 0,5:0,5, III ტური: სიგუა-ჩიქოვანი — 0:1, ვაშაკიძე-მიქაელიანი — 1:0, გოგიჩაიშვილი-მესტვირიშვილი — 0,5-0,5, IV ტური: ხაჩიძე-სიგუა — 1:0, ლობჟანიძე-სხილაძე — 1:0, თანდაშვილი-ჩიქოვანი — 0:1.

გადადებული პარტიების დამთავრებამ ერთგვარი ცვლილებები შეიტანა სატურნირო ცხრილში. 4 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ასპარეზობას სათავეში ჩაუდგა ერთდროულად ოთხი მოჭადრაკე — გივი გოგიჩაიშვილი, დავით ჰაქსაშვილი, დავით ლობჟანიძე და იური ჩიქოვანი.

შედგა 1971 წელს და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობის VI ტურის შეხვედრები.

გოგონები: ლებანიძე-ლომინეიშვილი — 0:1, ღლონტი-სახოკია — 1:0, ეძგვერაძე-ხურცილავა — 1:0, ნიკოლაძე-როჭიკაშვილი — 1:0, მოდებაძე-გრიგალაშვილი — 0:1, გადაიდო ფაჩულია-კემულარიას პარტია.

6 ტურის შემდეგ ლიდერობს სოფიკო ნიკოლაძე — 5,5, ნატო ეძგვერაძესა და მარინე ლებანიძეს შესაბამისად 4,5 და 4 (1) ქულა აქვთ.

ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ: პოპოვი-უთმელიძე — 1:0, გოგოლაძე-ხაბურზანია — 1:0, იაშვილი-კვარაცხელია — 0:1, კეკელიძე-ტიკურიშვილი — 0:1, ყაშაშვილი-დგებუაძე — 0,5:0,5, გადაიდო მასხარაშვილ-ჯანგობეგოვის პარტია.

აქ 6 ტურის შემდეგ 5,5 ქულით წინ გაიჭრა იანის პოპოვი, რომელსაც ქულით ჩამორჩება დავით ტიკურიშვილი.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲕᲐᲨᲐᲚᲝᲛᲘᲫᲔ.

სედინა ისევ დაწინაურდა

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝᲗᲐ სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრების ბოლო ორ ტურში ყველაზე ძლიერად ითამაშა თბილისელმა თეა ლანჩავამ, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი დააგროვა, მაგრამ მეტად არასახარბიელო სტარტის გამო მაინც საკმაოდ ჩამორჩება ლიდერთა ჯგუფს.

რაც შეეხება დაწინაურებულ მოჭადრაკეთა სამეულს — კიეველელენა სედინას, ოდესელ ანჯელა ბელაკოვსკაიასა და ჩელიაბინსკელ ტატიანა შუმიაკინას — სედინამ ორ ტურში ქულა-ნახევარი მოაგროვა და დაიბრუნა ერთპიროვნული ლიდერობა, ხოლო დანარჩენი ორი, როგორც ჩანს, კმაყოფილია თავისი შედეგით და არ ცდილობს მდგომარეობის გამწვავებას. ბელაკოვსკაიამ და შუმიაკინამ ყაიმით დაამთავრეს VII და VIII ტურების შეხვედრები და ახლა მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ლიდერს.

დაწინაურებული ჯგუფის გადასწრება მხოლოდ ქუთაისელ ჰენრიეტა ლაგვილავას შეუძლია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ ტურების ორივე გადადებულ პარტიას მოიგებს, რაც არც თუ იოლი საქმეა.

გაირთულა მდგომარეობა თბილისელმა ნათია ჯანჯღავამ, რომელმაც ბოლო ორ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა შემატა თავის აქტივს. საქართველოს სხვა მოჭადრაკეების მდგომარეობა კი ჯერჯერობით კვლავ არასახარბიელოა.

VII და VIII ტურების შედეგები.

VII ტური: ბელაკოვსკაია-ხურციძე — 0,5:0,5, შუმიაკინა-სედინა — 0,5:0,5, უმანსკაია-სადუნიშვილი — 1:0, ველიხანლი-დომარკაიტე — 0,5:0,5, იარმოლინსკაია-ტერელაძე— 1:0, ჯანჯღავა-ლანჩავა — 0:1. გადაიდო ლაგვილავა-ქასოშვილის შეხვედრა.

VIII ტური: ხურციძე-ლანჩავა — 0:1, ტერელაძე-ჯანჯღავა — 0,5:0,5, სადუნიშვილი-ველიხანლი — 1:0, სედინა-უმანსკაია — 1:0, ბელაკოვსკაია-შუმიაკინა — 0,5-0,5. გადაიდო ქასოშვილი-იარმოლინსკაიასა და დომარკაიტე-ლაგვილავას პარტიები.

I ტურის გამოტოვებულ შეხვედრებში დაზავდნენ დომარკაიტე და ხურციძე, ხოლო სადუნიშვილმა მოუგო ქასოშვილს. რაც შეეხება უმანსკაია-ლანჩავას III ტურის გადადებულ პარტიას, თბილისელმა მოჭადრაკემ ვერ შეძლო უარესი პოზიციის გადარჩენა და მოსკოველმა ოსტატმა ქულა ჩაიწერა.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ სედინას 6 ქულა აქვს, ბელაკოვსკაიასა და შუმიაკინას — 5,5-5,5, ჯანჯღავასა და უმანსკაიას — 4,5-4,5, ლაგვილავას 4 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს. იარმოლინსკაიას — 4, 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს ლანჩავამ და სადუნიშვილმა. შემდეგ მოდიან: ტერელაძე, ველიხანლი — 3-3, ქასოშვილი — 2,5 (2), დომარკაიტე — 2, ხურციძე — 1,5.

საფეხბურთო კავშირის შექმნის წინ

ყველაფერი ერთბაშად არ გამოვა

საფეხბურთო კავშირის წესდების პროექტი განვიხილეთ განყოფილების სამუშაო თათბირებზე, აგრეთვე, მოსკოვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომასა და პლენუმზეც. ქალაქის საფეხბურთო საზოგადოებრიობის მოსაზრება და ჩვენი ოფიციალური პოზიციის გამოხატვა დამფუძნებელ კონფერენციაზე დაევალა მოსკოვის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ვ. არტემიევს, მე კი მინდა ჩემი აზრი ასე გამოვთქვა.

ის, რომ იქმნება საფეხბურთო კავშირი, საიმედო მოვლენაა. მისი ორგანიზაცია წინ გადადგმული ნაბიჯია, ბევრი სპეციალისტი ძველ იმედს საფეხბურთო კავშირს იმ თვალსაზრისით უკავშირებს, რომ იგი ჩვენი შეურნეობის სრული ბატონ-პატრონი იქნება, მაგრამ წესდების პროექტი ამ საკითხზე მკაფიო და ნათელ სურათს ჯერ გვიქმნის.

ჩემი აზრით, საფეხბურთო კავშირმა დასაწყისში უნდა გააერთიანოს მხოლოდ სათავო ეშელონი. ე. ი. უმაღლესი და პირველი ლიგების ოსტატთა გუნდები. რაც შეეხება სხვა რგოლებს — მასობრივი ფეხბურთი და რეზერვების მომზადება — ვფიქრობ, აქ აჩქარება კარგს არას მოგვიტანს. უნდა შევიცადოთ, მიმოვიხილოთ. პირადად მე იმათ აზრს ვიზიარებ, ვისაც მიაჩნია, რომ რეზერვების მომზადება საფეხბურთო კავშირის უშუალო საქმეა, ხოლო მასობრივი ფეხბურთი-დარჩეს სამმართველოების, განყოფილებების, ფედერაციებისა და სექციების პროგრამებად.

ი. ვოლჩოკი,
რსფსრ-ის დამსახურებული მწვრთნელი.

„სოვეტსკი სპორტი“,
10 დეკემბერი.

ფეხბურთი და გულგრილობა

გულდასმით წავიკითხე ცენტრალურ გაზეთებში და „ლელოში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები ფეხბურთის კავშირის შექმნის თაობაზე და როგორც ფეხბურთის მოყვარულს, ბუნებრივია, ჩემი შთაბეჭდილება შემექმნა ახალი კავშირის წესდების პროექტზე.

ჩემი აზრით, საფეხბურთო კავშირის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ჩვენი საუკეთესო საკლუბო გუნდების ინტერესები, ამიტომაც ისევე, როგორც მხატვართა კავშირში გაერთიანებული არიან მხატვრები, კომპოზიტორთა კავშირში — კომპოზიტორები, მწერალთა კავშირში — მწერლები და ა. შ. საფეხბურთო კავშირშიც მხოლოდ ფეხბურთის სპეციალისტები უნდა იყვნენ გაერთიანებული და, რაც მთავარია, უმაღლესი ლიგის გუნდებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი ლიგის კავშირი, პირველ ლიგას — პირველი ლიგისა.

უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კავშირი იურიდიული თვალსაზრისით დამოუკიდებელი ორგანიზაცია უნდა იყოს, რომელზეც ზეგავლენის უფლება არ ექნება არავის, ლიგებმა თავიანთი თავი თვითონვე უნდა მართონ.

ეს კავშირები, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მსგავსად, უნდა დაფინანსდეს საკუთარი სახსრებით, უპირველესი პრინციპი უნდა იყოს თვითდაფინანსება, თვითმმართველობა და საკუთარი სამეურნეო ანგარიში.

მხოლოდ ასეთი ორგანიზაცია მოსპობს ჩვენს ფეხბურთში ისეთ კაზუსებს, რომლებიც აქამდე გვქონდა. ჩვენი საფეხბურთო სტრუქტურა წმინდა პროფესიული საფეხბურთო ხასიათისა უნდა იყოს, თორემ მომავალშიც ისევე იქნება, რომ ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით სამხრეთის რეგიონების გუნდებს ან თოვლიან, მოყინულ მინდვრებზე ვათამაშებთ, ან დახურულ მანეჟებში, სადაც მოთამაშეები არასაფეხბურთო ამუნიციით გამოდიან.

ყველა კარგად ხედავს, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია კარკვეული ბიუროკრატიული, არასაფეხბურთო აპარატი, ზოგიერთნი მიეჩვივნენ დაუმსახურებელი ხელფასის მიღებას.

13-14 სექტემბრის დამფუძნებელ კონფერენციაზე ბიუროკრატებს არ უნდა მიეცეთ თავიანთი ნება-სურვილის ცხოვრებაში გატარების საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ფეხბურთი ძალიან წააგებს.

ახალმა საფეხბურთო კავშირმა უნდა გადაწყვიტოს წმინდა ტექნიკური და პერსპექტიული საკითხებიც, მას უნდა ჰქონდეს სადისციპლინო ზემოქმედების უფლება, თითოეულ გუნდსა და საფეხბურთო კავშირს შორის დაიდება ხელშეკრულება, რომელშიც დაზუსტდება ეკონომიკური და იურიდიული საკითხები, სწორედ საფეხბურთო კავშირში უნდა გაირკვას ყველა საკონფლიქტო საკითხი.

ჩემი აზრით, უნდა ვიხელმძღვანელოთ ასეთი პრინციპით: „ფეხბურთი — ფეხბურთელებს, ფეხბურთელები — ფეხბურთის მოყვარულებს!“. ეს ფეხბურთს განწმენდს ყოველგვარი ჩინოვნიკობისა და ბიუროკრატიზმისგან.

სერგო ველიანი.

ცნობარი მარტო რუსულ ენაზე?

გაზეთების საშუალებით შევიტყვეთ, რომ ამ გაზაფხულზე თბილისში გამოსულა 1988 წლის საფეხბურთო ცნობარი, მაგრამ იგი დაიბეჭდა მხოლოდ რუსულ ენაზე, შეკვეთა, ვგონებ, უკრაინისა ყოფილა და მთელი ტირაჟიც იქ წაუღიათ.

გასაოცარია: თბილისში გამოდის საინტერესო საკავშირო შეჯიბრების, ახალი სეზონის ცნობარი, იგი თბილისელებს შეუდგენიათ, მაგრამ მარტო რუსულ ენაზე და მთელი ტირაჟიც სხვა რესპუბლიკას წაუღია? ვთქვათ, „ვერ შევძელითო“ ცნობარის რუსულიდან ქართულზე თარგმნა. მაგრამ იმას მაინც რა ედგა წინ, რომ ტირაჟის ნაწილი საქართველოში გასაღებულიყო და ისიც არა მარტო თბილისში, არამედ სოხუმშიც. ბათუმშიც, ქუთაისშიც, რუსთავშიც... ეს წვრილმანი არაა. საფეხბურთო კავშირმა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიქმნება, კონტროლი უნდა დააწესოს ასეთ საკითხებზე და თვითვე გამოსცეს ამგვარი ტიპის ცნობარები და საინტერესო მასალა.

ამირან აბულაძე.

საგამომცემლო ბაზაც გვესაჭიროება

საფეხბურთო კავშირის წესდების პროექტი რომ საფუძვლიანად დამუშავებული და იურიდიულად დასაბუთებული დოკუმენტი არაა, ეს თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს. ჩემი აზრით, პროფესიულ საკავშირო ორგანიზაციას, რომლის შექმნასაც ასე ელიან მილიონები, უფრო მტკიცე, გარანტირებული იურიდიული ფუნდამენტი ესაჭიროება.

არ მინდა სხვათა ნათქვამი გავიმეორო, მაგრამ სადღაც უნდა აღინიშნოს ის, რომ საფეხბურთო კავშირს აუცილებლად ესაჭიროება თავისი საგამომცემლო ბაზა. მიაკითხეთ რომელიც გნებავთ წიგნის მაღაზიას და აბა, თუ სადმე იშოვით ფეხბურთის წესებს? იგი ისეთ დეფიციტად იქცა, რომ თვით მოქმედი მსაჯებისთვისაც საძებარია, ხოლო ცნობილი არბიტრის ნ. ლატიშევის „საფეხბურთო პრაქტიკუმი“ თავისებურ რარიტეტად იქცა. გარდა ამისა, ბევრი დებულება მასში მოძველებულია, ბოლო ხანებში ფეხბურთის წესებში გარკვეული ცვლილებები მოხდა.

რაც შეეხება საქართველოს, ფეხბურთის წესები ჩვენს ენაზე აქ ოთხი ათეული წელია არ გამოსულა და ამის მერე ვიღაცას კიდევ უკვირს, რომ ჩვენი მაყურებელი კარგად ვერ ერკვევა საფეხბურთო წესების ნიუანსებში!

ავთანდილ აბერაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალში მხტომელთა რესპუბლიკური პირველობა

მზადებას კარგი პერიოდი შეწირა

უოველი რესპუბლიკური ასპარეზობა, ბუნებრივია, ანალოგიურ საკავშირო შეჯიბრებას წინ უსწრებს. ახლახანს გამართული წყალში მხტომელთა საქართველოს პირველობის ჩატარება კი იმდენჯერ გადაიდო (ობიექტური მიზეზების გამო), რომ მას საკავშირო შეჯიბრებამ დაასწრო.

ახლა ჩვენს ქვეყანაში წყალში მხტომელებს გარდამავალი პერიოდი დაუდგათ. ისინი ძირითად ყურადღებას მომავალი წლის სეზონისთვის სამზადისს უთმობენ. ასეთ პერიოდში სპორტსმენები საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაში მეცადინეობენ. უშუალოდ წყალში ხტომაში კი 1-მეტრიან ტრამპლინს, აგრეთვე 5 და 7,5-მეტრიან კოშკებს იყენებენ. ამიტომ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში სწორედ ასეთი შემცირებული სიმაღლიდან ხტომები იმართება. ამ ასპარეზობაში სპორტსმენები ერთმანეთს საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაშიც (ბატუტზე ხტომა, აკრობატიკა, ძალისმიერი მომზადება...) ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ასე რომ, ჩვენი წყალში მხტომელები ჯერ სარატოვში გამართულ საკავშირო პირველობაზე გამოვიდნენ. მათგან ყველაზე უკეთ იასპარეზა **საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის** სტუდენტმა დიანა მჭედლიძემ, რომელმაც 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მესამე ადგილი დაიკავა.

ეკა ტაბატაძე

იური შუკუროვი

ინგა ჯანგოიანი

გოჩა გახარია

რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე პირველად გაიმარჯვა **თბილისი 55-ე საშუალო სკოლის** XI კლასის მოსწავლემ ეკა ტაბატაძემ, რომელმაც ამ წარმატებას სპორტის ოსტატის შედეგით მიაღწია.

სამწუხაროდ, შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკურ ასპარეზობაში თბილისელებს კვლავ ვერავითარ კონკურენციას ვერ უწევენ სოხუმელები და ბათუმელები. ერთადერთი გამონაკლისი სოხუმელი მუსოიანი იყო, რომელმაც ქალთა კოშკიდან ხტომაში მესამე ადგილი დაიკავა.

ნათელა ხოუტარია.
ავტორის ფოტოები.

ქალები. ტრამპლინი. ეკა ტაბატაძე — 444,18; დიანა ლინჩუკი — 440,82, ნანა ალავიძე — 434,88. **კოშკი.** ინგა ჯანგოიანი — 367,27; ნანა ნებიერიძე — 361,71; კარინა მუსოიანი — 305,80.

ვაუები. ტრამპლინი. იური შუკუროვი — 541,02; ვახტანგ ბიჭაშვილი — 514,23; გოჩა გახარია — 499,09; **კოშკი.** გახარია — 511,89; ბიჭაშვილი — 467,02; ივერი ბარამიძე — 459,0.

შეხვედრა დინამოელებთან

თბილისი „დინამოს“ ფეხბურთელთა საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა გუნდის ხელმძღვანელების გულახდილი საუბარი თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდიუმის წევრებთან, ფეხბურთის მოყვარულებთან.

თბილისის „დინამოს“ გეგმებზე, აქ მომხდარ ცვლილებებზე, პრობლემებზე, პერსპექტივებზე ისაუბრა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. ყიფიანმა. მანვე ილაპარაკა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კლუბის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ, რომელიც დაგეგმილია 1989 წლის საფეხბურთო სეზონში.

გულშემატკივართა კლუბის საქმიანობის შესახებ გამოვიდა მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქავთარაძე, აღინიშნა, რომ გულშემატკივართა კლუბი მთლიანად შეუერთდება „დინამოს“ კლუბს, როცა სამეურნეო ანგარიშზე გადავა.

მზია მეგანიშვილი.

⊙ **ბრძოლდება** იუგოსლავიელ ფეხბურთელთა ექსპორტი ევროპის ქვეყნებში. „ვოიეოდინას“ კაპიტანი ზოვკო ბელგიის „ლიერსში“ გადავიდა, „ტუზლას“ მეკარე მარიჩი კი ავსტრიის „კლაგენფურტში“.

⊙ **დანიის** ნაკრების მცველი იან ბარტრამი „ბრონდბიუსა“ და „გლაზგო რეინჯერსში“ თამაშის შემდეგ იურდინგენის (გფრ) „ბაიერში“ ჩაირიცხა.

⊙ **„მანჩესტერ იუნაიტედის“** ყოფილი მწვრთნელი როი ატკინსონი სათავეში ჩაუდგა მადრიდის „ატლეტიკოს“. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ბოლო ოთხ ტურში 8 ქულა მოაგროვა.

⊙ **„ნაპოლის“** ბრაზილიელი ნახევარმცველი ალემაო კარგა ხანს ვერ გამოვა მოედანზე. ექიმებმა მას მწვავე ჰეპატიტის დიაგნოზი დაუსვეს.

⊙ **ინგლისის** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი პოლ მარინერი, რომელიც ბოლო დროს „არსენალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა, სპორტულ კარიერას მალტაში დაამთავრებს. აქ იგი „ნაქსარ ლაიონზში“ ჩაირიცხა.

⊙ **„არსენალის“** ყოფილი მოთამაშე ჩეპმენი, რომელიც წლეულს საფრანგეთის „ნიორში“ გადავიდა, ამ ორ კლუბს შორის მომხდარი კონფლიქტის მსხვერპლი გახდა და უმუშევარი აღმოჩნდა. ბოლოს იგი „ნოტინგემის“ მწვრთნელმა ბრაიან კლაფმა მიიწვია და არც შემცდარა. ორ მატჩში ჩეპმენმა სამი გოლი გაიტანა და თავის ახალ კლუბს სახარული მოუტანა.

⊙ **მას შემდეგ,** რაც ფრანკფურტის „აინტრაჰტმა“ ორი უცხოელი ვარსკვლავი დეტარი (უნგრეთი) და სმოლარეკი (პოლონეთი) გაყიდა, უალრესად კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახლა გუნდი გფრ-ის ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა. კლუბის გაძლიერების მიზნით „ნიურნბერგიდან“ სასწრაფოდ ჩამოიყვანეს ნაკრების ფორვარდი ეკშტაინი.

⊙ **ბრაზილიის** ნაკრების თავდამსხმელის რომარიო ფარიასის მოლაპარაკება ესპანეთის „ბარსელონასთან“ უშედეგოდ დამთავრდა. ამასობაში ბრაზილიელი ფეხბურთელი „ეინდჰოვენმა“ შეისყიდა.

(სპ. ინფ.).

მინიფეხბურთის მოყვარულთა საუურადღებოდ!

მინიფეხბურთში თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე ქალაქის უბნებს შორის ბოლო შეხვედრები გაიმართება. დღეს „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსის დარბაზში 15 საათზე III ადგილისთვის ითამაშებენ „ვერისა“ და „ისნის“ გუნდები. 16 საათზე კი ფინალური მატჩია. ერთმანეთს ხვდებიან „საბურთალო-I“ — ოქროს უბანი.

კაცი კაცით ცხოვრობს

(დასასრული)

კირველთან „ნორჩ დინამოელში“. იყო საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ სკოლა რომ დაამთავრა სწავლის გაგრძელება ლენინაკანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადაწყვიტა. ახლა იგი მეოთხე კურსზეა, ბიძამისს მხარში უდგას, კარგად სწავლობს და ლენინაკანის კალათბურთელთა ნაკრებში თამაშობს...

გურგენ სევოიანს სხვა მხრივაც ბედნიერ კაცად სთვლიდნენ. როგორც მწვრთნელმა და აღმზრდელმა ბევრ ახალგაზრდას გაუმართა ხელი, დიდი სპორტის გზაზე დააყენა. ყველაზე მეტად იმით ამაყობს, რომ მისმა მოწაფემ გურგენ ტუტხალიანმა — ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიო თასის სამგზის მფლობელმა, ახლახანს სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა.

ცხოვრობდა ერთი ბედნიერი ოჯახი ლენინაკანში, ცხოვრობდა დღევანდელი დღის სიხარულით, უამრავი გეგმით. ასე მოაღწია ოჯახმა 1988 წლის 7 დეკემბრამდე...

გურგენ სევოიანი: უმცროსი გოგონა, რვა წლის ვართუი სკოლიდან შინ მე მომყავს ხოლმე. იმ დღეს ოთხი გაკვეთილი ჰქონდა და თორმეტის ნახევარზე სკოლიდან გამოვედით, ჩავსხედით ავტობუსში და შინისკენ გავეშურეთ. საბედისწერო ქამის დადგომას რამდენიმე წუთი აკლდა.

ნახევარი გაჩერება არ გვქონდა გავლილი, რომ ჩვენი ავტობუსი შუქნიშანთან შეჩერდა. გავიხედე ფანჯარაში და... უცნაური სურათის მოწმე გავხდი — ქუჩაში ხალხი თავის-თავად ეცემოდა. გამიკვირდა, ამდენმა მთვრალმა როგორ მოიყარა თავი ერთად, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ სმთვრალე არაფერ შუაში იყო. ეცემოდნენ კაცები, ქალები, ბავშვები, ეცემოდნენ მოხუცები, მაღაზიებიდან ხალხი გამორბოდა.

ვიღაც მამაკაცმა ავტობუსში იყვირა მიწისძვრაო და მაშინვე ჩვენს თვალწინ ჩამოინგრა ხუთსართულიანი შენობა, რომლის პირველი სართული გასტრონომიულ მაღაზიას ეკავა. პირველი, რაც ამ მოვლენტში მოვახერხე, ბავშვი ხელში ავიყვანე და მივიხუტე. მერე ავტობუსიდან გადმოსვლა დავაპირე, მაგრამ დაბნეული მძღოლი კარს რატომღაც არ აღებდა.

მგზავრები ფანჯრებს მიაწყდნენ მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ამ გზით ბავშვთან ერთად ტყვეობას თავს ვერ დავაღწევდი. როგორც იქნა კარი გაიღო, ჩამოვედით ავტობუსიდან და რას ვხედავთ — გარეთ წყვდიადია, უფრო სწორად მტვრის ბურუსი, ერთადერთ უსაფრთხო ადგილად, იმ წუთს, შუა ქუჩა მეჩვენა და გოგონასთან ერთად ადგილზე გავიყინე. ჩემი ანგარიშით შუა ქუჩამდე შენონების ნანგრევებს არ უნდა მოეღწია.

მიწა ყრუდ გუგუნებდა და იროყეოდა. მაგრამ პირველი დამანგრეველი ტალღა უკვე ჩამცხრალი იყო. ახლა ყველაფერი შენონების სიმკვრივეზე იყო დამოკიდებული. ინერციით წინ გადავდგი ნაბიჯი და ისევ ადგილზე გავქვავდი: თვალწინ ჩამოიქცა წინდების ვეებერთელა ფაბრიკა, ჩამოიქცა მთლიანად და მიწას გაუსწორდა — თითქოს იმ ადგილზე არასდროს შენობა არ ყოფილა.

წინ გასასვლელი არ ჩანს, არც უკან, გვერდით ყველაფერი ინგრევა. ერთადერთი გამოსავალი ისევ ავტობუსში შებრუნება იყო, თავს იქ უფრო საიმედოდ შევაფარებდით. ნელ-ნელა ავტობუსი ხელახლა გაივსო ხალხით და გონს მოსულმა მძღოლმა გაცლა ამჯობინა. მაშინ ჩვენც ასე ვფიქრობდით, გვეგონა, რომ მთელი უბედურება სწორედ აქ დატრიალდა. წინ, ქალაქის ცენტრში რა ხდებოდა არ ვიცოდით.

ყველაზე მეტად ჩვენი სახლის მდგომარეობა მაფიქრებდა. ვარაუდით ორივე გოგონა შინ უნდა დამხვედროდა. ვიცოდი, რომ უფროსმა ამ დღეს პირველად თავის ცხოვრებაში, გაკვეთილები გააცდინა და შინ დარჩა. შუათანა გოგონა კი მეორე ცვლაში იყო და ისიც შინ მეგულებოდა. მეუღლე, პროფესიით მასწავლებელი, ცხადია, სკოლაში იყო. მოდი და იფიქრე სად სჯობდა ყოფნა, შინ, თუ სკოლაში?

ავტობუსი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ჩვენს გაჩერებას. ჩავუარეთ რამდენიმე დანგრეულ სკოლას, საბავშვო ბაღს, მაღაზიას, საცხოვრებელ სახლს. ნუთუ არაფერი არ გადარჩა? ნუთუ მთელი ქალაქი ნანგრევების გროვად იქცა? ამ ფიქრებში გართული ჩვენი სახლის ხუთსართულიან შენობას მივადექით, რომელიც ზორბად იყო შელახული მაგრამ მაინც იდგა.

ხალხი გარეთ იყო გამოსული, ჩემი გოგონებიც იქვე დამხვდნენ, გაფითრებულები, შიშისაგან აკანკალებულნი. ოჯახი ნაწილობრივ მაინც გამთელდა, მაგრამ მეუღლისა და ძმისშვილის ბედი მოსვენებას არ მაძლევდა. მოგვიანებით, გავიგე, რომ მეუღლემ ჩვიდმეტი ბავშვი გადაარჩინა სიკვდილს და ჩვენს საძებნელად წამოვიდა.

ხერგეი სევოიანი: ლენინაკანის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ორ, ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებულ შენობაშია მოთავსებული. მესამე კურსამდე ახალ კორპუსში ვსწავლობდით, რომელიც მიწისძვრის დროს მთლიანად დაინგრა. ჩვენ, მეოთხეკურსელები, ლაბორატორიულ მეცადინეობაზე ქვეს შენობაში ვიყავით, რომელმაც გაუძლო სტიქიის ამ საშინელ შემოტევას. პირველი დამანგრეველი ტალღის შემდეგ, თითქმის ყველანი იქ მყოფნი, ფანჯრებიდან გადმოვცვივდით. ვიცოდი, რომ უფროსმა ამ დღეს პირველად თავის ცხოვრებაში, გაკვეთილები გააცდინა და შინ დარჩა. შუათანა გოგონა კი მეორე ცვლაში იყო და ისიც შინ მეგულებოდა. მეუღლე, პროფესიით მასწავლებელი, ცხადია, სკოლაში იყო. მოდი და იფიქრე სად სჯობდა ყოფნა, შინ, თუ სკოლაში?

ავტობუსი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ჩვენს გაჩერებას. ჩავუარეთ რამდენიმე დანგრეულ სკოლას, საბავშვო ბაღს, მაღაზიას, საცხოვრებელ სახლს. ნუთუ არაფერი არ გადარჩა? ნუთუ მთელი ქალაქი ნანგრევების გროვად იქცა? ამ ფიქრებში გართული ჩვენი სახლის ხუთსართულიან შენობას მივადექით, რომელიც ზორბად იყო შელახული მაგრამ მაინც იდგა.

ხალხი გარეთ იყო გამოსული, ჩემი გოგონებიც იქვე დამხვდნენ, გაფითრებულები, შიშისაგან აკანკალებულნი. ოჯახი ნაწილობრივ მაინც გამთელდა, მაგრამ მეუღლისა და ძმისშვილის ბედი მოსვენებას არ მაძლევდა. მოგვიანებით, გავიგე, რომ მეუღლემ ჩვიდმეტი ბავშვი გადაარჩინა სიკვდილს და ჩვენს საძებნელად წამოვიდა.

ხერგეი სევოიანი: ლენინაკანის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ორ, ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებულ შენობაშია მოთავსებული. მესამე კურსამდე ახალ კორპუსში ვსწავლობდით, რომელიც მიწისძვრის დროს მთლიანად დაინგრა. ჩვენ, მეოთხეკურსელები, ლაბორატორიულ მეცადინეობაზე ქვეს შენობაში ვიყავით, რომელმაც გაუძლო სტიქიის ამ საშინელ შემოტევას. პირველი დამანგრეველი ტალღის შემდეგ, თითქმის ყველანი იქ მყოფნი, ფანჯრებიდან გადმოვცვივდით. ვიცოდი, რომ უფროსმა ამ დღეს პირველად თავის ცხოვრებაში, გაკვეთილები გააცდინა და შინ დარჩა. შუათანა გოგონა კი მეორე ცვლაში იყო და ისიც შინ მეგულებოდა. მეუღლე, პროფესიით მასწავლებელი, ცხადია, სკოლაში იყო. მოდი და იფიქრე სად სჯობდა ყოფნა, შინ, თუ სკოლაში?

ავტობუსი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ჩვენს გაჩერებას. ჩავუარეთ რამდენიმე დანგრეულ სკოლას, საბავშვო ბაღს, მაღაზიას, საცხოვრებელ სახლს. ნუთუ არაფერი არ გადარჩა? ნუთუ მთელი ქალაქი ნანგრევების გროვად იქცა? ამ ფიქრებში გართული ჩვენი სახლის ხუთსართულიან შენობას მივადექით, რომელიც ზორბად იყო შელახული მაგრამ მაინც იდგა.

ხალხი გარეთ იყო გამოსული, ჩემი გოგონებიც იქვე დამხვდნენ, გაფითრებულები, შიშისაგან აკანკალებულნი. ოჯახი ნაწილობრივ მაინც გამთელდა, მაგრამ მეუღლისა და ძმისშვილის ბედი მოსვენებას არ მაძლევდა. მოგვიანებით, გავიგე, რომ მეუღლემ ჩვიდმეტი ბავშვი გადაარჩინა სიკვდილს და ჩვენს საძებნელად წამოვიდა.

ალბერტ სევოიანი (ჟურნალისტი, ფოტორეპორტიორი): ლენინაკანში თბილისიდან მანქანით ღამით გავემგზავრე მეგობართან ერთად. ათასი აზრი მიტრიალებდა თავში, მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი ჩემს ახლობლებზე, ზუსტად არაფერი ვიცოდი რა მოხდა, როგორი დამანგრეველი ძალა ჰქონდა მიწისძვრას, იყო თუ არა მსხვერპლი.

გზაში ორ თუ სამ მანქანას ჩავუარეთ, თბილისიდან სომხეთისკენ მიმავალს. ლენინაკანის მისადგომებთან ქალაქიდან მომავალმა სატვირთო მანქანებმა შემაჩერეს. „შემაჩერეს“ — ბეჭდილება დატოვა, მაგრამ ღამე იყო და ავტომფლობელს ნათლად ვერ ვარჩევდით.

ქალაქის გარეუბანი უფრო შენახული გვეჩვენა. ხალხი გარეთ იყო გამოსული და მოგიზგიზე კოცონების ირგვლივ ფუსფუსებდა. კითხვა კითხვით გავიარე მთელი კილომეტრი და ბოლოს ერთ ნაცნობს წავაწყდი, რომელმაც დამამშვიდა: თქვენები იქ მეგობართან არიან, რომელიც ერთსართულიანი კერძო სახლების რაიონში ცხოვრობსო. იქ, ფაქტიურად არაფერი დანგრეულა, მაგრამ ბავშვებს, ყოველი შემთხვევისთვის მანქანაში ეძინათ.

ის, რაც იმ ღამეს ლენინაკანში ვნახე ძნელი აღსაწერია, რა მდგომარეობაში იყო ქალაქის ცენტრი ვერ გეტყვით, იქით არ წავსულვარ, მაგრამ ჩვენს მახლობლად რომ ორი სკოლა მთლიანად დაინგრა ზუსტად ვიცი. დრო არ ითმენდა — გატანჯული, დაბნეული და გაუბედურებული ხალხი თბილისში უნდა წამომეყვანა და, ბუნებრივია, ვჩქარობდი, თანაც მეშინოდა მიწისძვრა არ გამეორებულიყო. ერთი წამით შევედით ძმის ბინაში, ბავშვების ტანსაცმელი შევავროვეთ და ფრთხილად, თითქმის ფეხაკრეფით, გავცდით იქაურობას...

გზაში სულ იმაზე ვფიქრობდი, თურმე რა ცოტა სჭირდება ადამიანს — ოდნავი ყურადღება, ოდნავი თანაგრძნობა და გამხნევება. ვფიქრობდი იმაზეც, რომ კაცი ამ ქვეყნად კაცით ცხოვრობს და ამიტომ ერთმანეთს მხოლოდ უნდა ვეფერებოდეთ.

ნოდარ გუგუშვილი.

კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 4 დეკემბერი. „ველით გაცნობას“. საფეხბურთო კავშირის შექმნასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე საუბრობს სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი.

5 დეკემბერი. „სპორტი თუ მკვლელობა“? კარატეს ჩვენს ქვეყანაში მხარდამჭერიც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ერთი სიტყვით, პოზიციები სრულიად საპირისპიროა.

7 დეკემბერი. „ნუ იქნებით „ბიძიების“ იმედით“. წერილი იბეჭდება რუბრიკით „ფიზკულტურა ყველასთვის“.

* * *

„ტრუდი“ — 4 დეკემბერი. „გასაწვევი ფეხბურთელები“. წერილი ეხება უმაღლესი საფეხბურთო ლიგის გუნდებიდან სპორტსმენების ჯარში გაწვევის საკითხს, რომელზეც „საფეხბურთო მიმოხილვის“ ერთ-ერთ ბოლო გადაცემაში იყო საუბარი.

6 დეკემბერი. „მოტყუების ათი მცდელობა“. მასტიმულირებელი საშუალებების მიღების ზუსტად ამდენი შემთხვევა გამოავლინა სეულის ოლიმპიადაზე ანტისადოპინგო კომისიამ.

● ● ●

„ხოვეტსკი სპორტი“ —4 დეკემბერი. „მოწყალების ნიშნით“. ოქტომბერში, სეულში, კიდევ ერთი ოლიმპიადა გაიმართა, რომელშიც ინვალიდები მონაწილეობდნენ.

7 დეკემბერი. „როგორი უნდა იყოს სასკოლო ფიზკულტურა?“ გაზეთი განაგრძობს საკმაოდ მწვავე თემის განხილვას.

10 დეკემბერი. „უცნობი ტარასოვი“. იგი დაუმარცხებლად წავიდა დიდი ჰოკეიდან, მაშინ, როცა მსოფლიოს ყველა „ოქრო“ მოიპოვა.

კალეიდოსკოპი

ფოლკლენდის კონფლიქტის შემდეგ

ფოლკლენდის კონფლიქტის შემდეგ ინგლისმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა არგენტინის ფეხბურთელთა მოწვევა „როუზ კაპის“ ტურნირზე, რომელიც მერმისს მაისში უნდა მოეწყოს. მაგრამ ცივი უარი მიიღო.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადებით ტურნირის ჩატარების ვადები ფეხბურთელებისთვის ყოვლად მიუღებელია. მაისში არგენტინაში ეროვნული ჩემპიონატის ფინალური მატჩები ეწყობა და ამის გამო ინგლისში ძლიერი გუნდის გაგზავნა შეუძლებელი იქნება.

როგორც ცნობილია, ფოლკლენდის გახმაურებული კრიზისის შემდეგ (1982 წელი) ინგლისისა და არგენტინის ეროვნული გუნდები ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში. მაშინ გამარჯვება არგენტინელებს დარჩათ. ამ უარით ინგლისმა დაკარგა რევანშის აღების შესაძლებლობა — აცხადებენ ბრიტანელი მიმომხილველები.

დოპინგისთვის — ციხე

ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებით დოპინგის მიღებაში მხილებულ სპორტსმენს ორი წლით პატიმრობა ელის, ხოლო უკანონო სტიმულატორების დამამზადებლებსა და გამსაღებლებს უფრო მკაცრი სასჯელი ემუქრებათ — თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით. მთავრობა ახლა ცდილობს ეს გადაწყვეტილება დააკანონოს.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დუგლას პერდმა გამოაქვეყნა აკრძალულ პრეპარატთა სრული კატალოგი, რომლის თანახმად სტიმულატორები ნარკოტიკულ ნივთიერებებთანაა გათანაბრებული. მინისტრი ამჟამად ეცნობა სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელების მოსაზრებებს. კანონად იგი მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდება.

კუნთოვანი ძალა თუ დინამიკა?

90 მეტრზე შუბის ტყორცნა ქალებისთვის ხულ მალე ჩვეულებრივი ამბავი იქნება. იეროდინამიკურმა ცდებმა დაადასტურა, რომ ქალებს არ უნდა გაუჭირდეთ 800 გრამიანი იარაღის ამ მანძილზე ტყორცნა.

ჯერჯერობით ერთადერთი ქალი მსოფლიოში, რომელმაც 90 მეტრიანი ზღვარი გადალახა, გაზლავთ სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პეტრა ფელკე (გდრ). ამ სპორტსმენს არც ისე სახარბიელო ფიზიკური მონაცემები აქვს — იგი 172 სანტიმეტრის სიმაღლისაა და მხოლოდ 63 კილოგრამს იწონის. მაგრამ სპეციალისტთა განცხადებით იმდენი მნიშვნელობა არა აქვს კუნთოვან ძალას, რამდენიც დინამიკას. ფელკე, მათი აზრით, წარმატებას სწორედ რაციონალური დინამიკის წყალობით აღწევს.

ჰალსტუხიანი მარათონელი

52 წლის პარიზელი მეტროს მუშაკი ჟერარ ბრეტონი არაფრით ჰგავს სპორტსმენს, მით უფრო მარათონელს. ამის მიუხედავად მან მონაწილეობა მიიღო სპორტულ სიარულში, რომლის ტრასა ექვშარიტად ზემაძრათონული გახლდათ და 100 კილომეტრს უდრიდა.

ბრეტონს არ აინტერესებდა შედეგი. ალბათ ამიტომაც 473 მონაწილეს შორის მან 470-ე ადგილი დაიკავა — დისტანცია 15 საათსა და 1 წუთში დაფარა. მაგრამ ასაკოვანმა მარათონელმა მაინც მიიპყრო საერთო ყურადღება. სტარტზე იგი გამოვიდა შავ კოსტუმში გამოწყობილი, მოდური ჰალსტუხითა და თეთრი პერანგით, თანაც ლაკის ფეხსაცმელები ეცვა.

უგერეგელი დალიპაგიჩი

სახელგანთქმული დრაჟენ დალიპაგიჩი 70-იანი წლების იუგოსლავიის ბრწყინვალე ნაკრების ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელია, რომელიც ისევ განაგრძობს თამაშს და, რაც მთავარია, მაღალი შედეგიანობით კვლავ აოცებს გულშემატკივრებს.

ბოლო წლებში დალიპაგიჩი იტალიის კლუბების შემადგენლობაში გამოდიოდა. ჯერ უდინეს, ხოლო შემდეგ კი ვენეციის გუნდში. წლეულს იგი, როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, იტალიის მეორე ლიგის კლუბის „ლეჩეს“ ღირსებას დაიცავს. მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატში ორი მატჩი მოიგო და მეორე ლიგის ლიდერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი.

ახალ გუნდში დალიპაგიჩის დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. მან გუნდს 26 ქულა მოუტანა, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა და „მარესთან“ შეხვედრაში დალიპაგიჩის გუნდმა მარცხი იწვნია — 79:83. განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა მან შემდეგი ორი მატჩი. ჯერ იყო და „ლეჩეს“ მოუგო „ფილოდოროს“ — 102:83. საყურადღებოა, რომ ქულათა ნახევარზე მეტი (53) დალიპაგიჩის ანგარიშზეა. შემდეგ საკუთარ მოედანზე დაამარცხა „სან ჯორჯო“ — 92:75 და ამჯერად დალიპაგიჩმა გუნდს 46 ქულა შესძინა — მოგროვებულ ქულათა ნახევარი. როგორც ჩანს, 37 წლის ვეტერანი კვლავ ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია.

ევერტისა და ნავრატილოვას მოგონებები

ისინი მთელი 10 წლის მანძილზე ებრძოდნენ ერთმანეთს. კრის ევერტი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის სახელს არ თმობდა, მარტინა ნავრატილოვა კი შეუპოვრად ავიწროებდა მას და ბოლოს მიაღწია კიდეც მიზანს. მაგრამ სპორტში დაუძინებელი მეტოქეები ცხოვრებაში მეგობრებად დარჩნენ.

ახლახან ცნობილი გახდა რომ კრის ევერტი და მარტინა ნავრატილოვა ერთად წერენ წიგნს ჩოგბურთზე.

გამომცემლის აზრით ორივე სპორტსმენს ბევრის მოგონება და გახსენება შეუძლია, ამიტომ მათი წიგნის გამოსვლას ამერიკელი მკითხველები მოუთმენლად ელიან.

„სპორტპროგნოზი“, 51-ე ტირაჟის პროგრამა (17-18 დეკემბერი)

გაზეთ „იზვესტიის“ ბურთიან პოკეიში		პროგნოზი		
1. ფინეთი — ჩეხოსლოვაკია	17.XII	10	40	50
2. კანადა — შვეიცია	17.XII	10	30	60
3. ჩეხოსლოვაკია — შვეიცია	18.XII	50	10	40
4. ფინეთი — სსრ კავშირი	18.XII	10	20	70
სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში				
5. „სტროიტელი“ (სიქტივკარი) — ახკ (სვერდლოვსკი)	18.XII	40	30	30
6. „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სტარტი“ (გორკი)	18.XII	60	20	20
7. „კუზბასი“ (კემეროვო) — „ლოკომოტივი“ (ირკუტსკი)	18.XII	70	20	10
8. „იუნოსტი“ (ომსკი) — „დინამო“ (ალმა-ათა)	18.XII	20	30	50
სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში (უმაღლესი ლიგა. ვაქები)				
9. ახკ (ალმა-ათა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). პირველი თამაში	17.XII	40	30	30
10. „დინამო“ (თბილისი) — „სტატბა“ (ვილნიუსი) პირველი თამაში	17.XII	50	10	40
11. „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მოსკოვი) პირველი თამაში	17.XII	40	10	50
საფრანგეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
12. „მეცი“ (მეცი) — „ტულუზა“ (ტულუზა)	17.XII	10	60	30
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
13. „ინტერი“ (მილანი) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	18.XII	80	10	10

შენიშვნა: კალათბურთში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოზარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05645

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.